დანართი

2024 წელს, საგაზაფხულო მიღების ფარგლებში, სამკერვალო წარმოების საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „2024 წელს, საგაზაფხულო მიღების ფარგლებში, სამკერვალო წარმოების საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს, 2024წელს, საგაზაფხულო მიღებისას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში, აპლიკანტთა შეფასების მეთოდებს სამკერვალო წარმოების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (პროგრამაზე).
2. შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებმაც მოიპოვეს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება.

მუხლი 2. შეფასებაში მონაწილეობის წინაპირობა

შეფასებაში მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 3. შეფასების ფორმა

1. შეფასება ერთეტაპიანია და ტარდება შემოქმედებითი ტურის ფორმით;
2. შემოქმედებითი ტური მოიცავს პრაქტიკულ დავალებას და პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში აპლიკანტთან მოტივაციურ გასაუბრებას.
3. პრაქტიკული დავალება შედგება სამი ნაწილისგან: ესკიზის შექმნა, წარმოსახვის საკვლევი ტესტი, დაკვირვების საკვლევი ტესტი.
4. კოლეჯი შეიმუშავებს პრაქტიკულ დავალებას. პრაქტიკული დავალების შესრულებისთვის განსაზღვრული დრო არ უნდა იყოს ერთ საათზე ნაკლები.
5. შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება დანართი N1-ის მიხედვით.
6. შეფასების მაქსიმალური ქულა, ქულათა განაწილება განისაზღვრება დანართი N2-ის შესაბამისად.
7. აპლიკანტი ფასდება ამ წესის დანართით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
8. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია მაქსიმალური შეფასების 25%. აპლიკანტი, რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კარგავს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

მუხლი 4. აპლიკანტთა შეფასება

1. აპლიკანტს შეფასების თარიღს აცნობებს კოლეჯი, მართვის საინფორმაციო ბაზაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე/ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით.
2. აპლიკანტს აფასებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შერჩევის კომისია;
3. შერჩევის კომისიის თითოეული წევრი აპლიკანტს აფასებს ინდივიდუალურად. აპლიკანტის შეფასების მიზნებისთვის, შეფასების კომისიის წევრების მიერ გაცემული ქულების ჯამი იყოფა შეფასებაში მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობაზე.
4. შეფასება მიმდინარეობს კოლეჯში (ბათუმი, ლერმონტოვის N92ა) პირისპირ ფორმატში.

მუხლი 5. შეფასებაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება- მოვალეობები

1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს შეფასების კრიტერიუმებს. კოლეჯი შეფასების წესს განათავსებს საინფორმაციო დაფაზე, კოლეჯის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში;
2. შეფასებაში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შეფასებაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აპლიკანტი არ დაიშვება შეფასებაზე, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე;
3. აპლიკანტი უფლებამოსილია, მოითხოვოს შეფასების თარიღის შეცვლა, საპატიო გარემოებების არსებობისას, (შესაბამისი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე);
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა მიმართოს კოლეჯს, შეფასების თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე. შესაძლებელია, აპლიკანტი ჩაერთოს შეფასებაში დისტანციური კომუნიკაციის პლატფორმის გამოყენებით. კოლეჯი, შეფასების დღეს, აპლიკანტს მიაწოდებს საკომუნიკაციო ბმულს (Zoom პლატფორმა).
5. გასაუბრების პროცესში დისტანციურად ჩართვის შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია უზრუნველყოს ვიდეო-ჩართვა.
6. კოლეჯი იხსნის პასუხისმგებლობას თუ აპლიკანტი მისი მხრიდან ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ მოახერხებს შეფასების პროცესში დისტანციურად ჩართვას;
7. შერჩევის კომისიის წევრი, შესაბამისი გარემო - პირობების გათვალისწინებით, უფლებამოსილია დისტანციურად ჩაერთოს კომისიის მუშაობაში და უზრუნველყოს ელექტრონულ პლატფორმაზე აპლიკანტის შეფასებების ასახვა.

სამკერვალო წარმოების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

აპლიკანტთა შეფასების წესის

დანართი N1

შეფასების კრიტერიუმები

პრაქტიკული დავალება N1

1. კრეატიულობა (მაქსიმალური: 3 ქულა)

3 ქულა: აპლიკანტის იდეა გამორჩეული და ორიგინალურია. ნამუშევარს ეტყობა, რომ აპლიკანტი სერიოზულად და პასუხისმგებლობით მიუდგა დავალებას. საბოლოო პროდუქტი მიმზიდველია.

2 ქულა: აპლიკანტის იდეა მეტნაკლებად გამორჩეული და ორიგინალურია. ნამუშევარს ეტყობა, რომ აპლიკანტი ნაკლებად სერიოზულად და პასუხისმგებლობით მიუდგა დავალებას. საბოლოო ჯამში, პროდუქტი მიმზიდველია.

1 ქულა: აპლიკანტის იდეა ნაკლებად გამორჩეული და ორიგინალურია. ნამუშევარს ეტყობა, რომ აპლიკანტი არასერიოზულად და ნაკლებად პასუხისმგებლობით მიუდგა დავალებას. უმეტესწილად, პროდუქტს აკლია მიმზიდველობა.

0 ქულა: ნამუშევარს ეტყობა, რომ აპლიკანტი არასერიოზულად მიუდგა დავალებას. იდეა არაფრითაა გამორჩეული.

2. ფერთა შეხამება (მაქსიმალური: 3 ქულა)

3 ქულა: აპლიკანტის მიერ შესრულებულ კოლაჟზე კარგად ჩანს ფერთა შერჩევისა და შეხამების უნარი. გამოყენებულია ერთმანეთთან თავსებადი ფერები ან გამოყენებულია არათავსებადი ფერები, თუმცა აპლიკანტი ახერხებს მათ ლამაზად წარმოჩენას;

2 ქულა: აპლიკანტის მიერ შესრულებულ კოლაჟზე ჩანს, რომ მას ფერთა შერჩევისა და შეხამების უნარი აქვს. გამოყენებულია გარკვეულწილად ერთმანეთთან თავსებადი ფერები ან გამოყენებულია არათავსებადი ფერები, რისი დასმაც აპლიკანტს გაუჭირდა;

1 ქულა: აპლიკანტის მიერ შესრულებულ კოლაჟზე ჩანს , რომ მას ფერთა შერჩევისა და შეხამების უნარი მეტნაკლებად აქვს. ერთმანეთთან ნაკლებად თავსებადი ფერებია გამოყენებული;

0 ქულა: აპლიკანტის ნამუშევარში ფერები შეხამებული არ არის, ნამუშევარს ეტყობა, რომ აპლიკანტს ძალიან უჭირს ფერების შერჩევა და შეხამება.

3. ესკიზზე მორგება (მაქსიმალური: 2 ქულა):

2 ქულა: მოდელზე სამოსი მორგებულია სწორი განლაგებით; კარგად ჩანს აპლიკანტის შემოქმედებითობა.

1 ქულა: მოდელზე სამოსი უმეტესწილად მორგებულია სწორი განლაგებით; ჩანს, რომ აპლიკანტს შეუძლია იყოს შემოქმედებითი, რასაც მის მიერ შექმნილი სამოსის რამდენიმე დეტალი ადასტურებს.

0 ქულა: მოდელზე სამოსი არ არის შესაბამისად მორგებული. არ ჩანს აპლიკანტის შემოქმედებითობა.

4. ქსოვილის, ფაქტურისა და გასაწყობი მასალის შერჩევა და აკურატულობა (მაქსიმალური: 4 ქულა)

4 ქულა - აპლიკანტს სათანადოდ აქვს შერჩეული ქსოვილი და გასაწყობი მასალა, ნამუშევარი ზუსტად და აკურატულადაა შესრულებული;

3 ქულა - აპლიკანტს სწორად აქვს შერჩეული ქსოვილი, თუმცა შესაძლებელი იყო გასაწყობი მასალის უკეთ შეხამება; ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა;

2 ქულა - ქსოვილის და გასაწყობი მასალის შერჩევისას დაშვებულია შეცდომა, თუმცა საბოლოო ჯამში, მოდელი ლამაზია; ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა;

1 ქულა - ქსოვილი და გასაწყობი მასალა უმეტესად არასწორადაა შერჩეული; ნამუშევარს აკლია სიზუსტე და აკურატულობა.

0 ქულა - დავალება საერთოდ არ არის შესრულებული ან აცდენილია მიზანს.

5. დროის მართვა (მაქსიმალური: 3 ქულა):

3 ქულა - აპლიკანტმა ეფექტიანად გამოიყენა დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო, მოახერხა მისი სათანადო მართვა. ნამუშევარი დაასრულა განსაზღვრულ დროში;

2 ქულა - აპლიკანტმა მეტნაკლებად ეფექტიანად გამოიყენა დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო, თუმცა ვერ მოახერხა მისი სათანადო მართვა. განსაზღვრულ დროში ნამუშევარი იმ ფორმამდე ვერ მიიყვანა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა;

1 ქულა - აპლიკანტმა ვერ მოახერხა განსაზღვრული დროის ეფექტიანად გამოყენება; საგამოცდო დროის დასრულების შემდეგ ნამუშევარი პრაქტიკულად/თითქმის შეუსრულებელია;

0 ქულა - აპლიკანტმა ვერ მოახერხა დავალების შესრულება განსაზღვრულ დროში.

პრაქტიკული დავალება N2

დაკვირვების უნარი (მაქსიმალური: 3 ქულა)

3 ქულა	**2 ქულა**	**1 ქულა**	**0 ქულა**
არასწორი პასუხების რაოდენობა არ აღემატება ტესტში მოცემული დავალებების 10%	არასწორი პასუხების რაოდენობა არ აღემატება ტესტში მოცემული დავალებების 20%-ს.	არასწორი პასუხების რაოდენობა არ აღემატება ტესტში მოცემული დავალებების 30%-ს.	არასწორი პასუხების რაოდენობა აღემატება ტესტში მოცემული დავალებების 30 %-ს.

პრაქტიკული დავალება N3

წარმოსახვის/ სივრცითი ექსტრაპოლაციის უნარი (მაქსიმალური: 3 ქულა)

3 ქულა	**2 ქულა**	**1 ქულა**	**0 ქულა**
შეცდომა ხაზების გადაკვეთის წარმოსახულ და რეალურ მანძილებს შორის არ აღემატება საშუალოდ 3 სმ-ს.	შეცდომა ხაზების გადაკვეთის წარმოსახულ და რეალურ მანძილებს შორის არ აღემატება საშუალოდ 5 სმ-ს.	შეცდომა ხაზების გადაკვეთის წარმოსახულ და რეალურ მანძილებს შორის არ აღემატება საშუალოდ 7 სმ-ს.	შეცდომა ხაზების გადაკვეთის წარმოსახულ და რეალურ მანძილებს შორის აღემატება საშუალოდ 7 სმ-ს.

აპლიკანტი: _____

სახელი და გვარი

მოტივაციური გასაუბრება: შეფასების ფორმა

1. ინფორმაცია პროფესიის შესახებ						
აპლიკანტი ფლობს ინფორმაციას პროფესიის ისეთი ასპექტების შესახებ, როგორიცაა: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.
2. მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება						
აპლიკანტს აქვს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულების გამოცდილება (ფორმალურად ან არაფორმალურად). მან იცის, რომელი ძირითადი სამუშაო იარაღები/ტექნიკა/აღჭურვილობა გამოიყენება პროფესიაში და აქვს მათი გამოყენების მინიმალური გამოცდილება მაინც.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ შეუსრულებია პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები, არ ფლობს ინფორმაციას ამ სამუშაოებისა და ძირითადი იარაღების/ტექნიკის/ აღჭურვილობის შესახებ, რომელიც გამოიყენება პროფესიაში.
3. პროგრამაზე სწავლის მზაობა						
კანდიდატს კარგად აქვს გაცნობიერებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; **ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ.** მეტ-ნაკლებად სრულად ფლობს ინფორმაციას პროგრამაზე შესასწავლი საგნების შესახებ. ინფორმაცია რელევანტურ წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. პროგრამაზე ჩაბარების ძირითადი მოტივი სამიზნე პროფესიისადმი ინტერესია. მას კარგად აქვს გააზრებული სამომავლო გეგმები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანდიდატს პროგრამაზე სწავლის მზაობა აქვს.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს გააზრებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; **არ ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ.** არ ფლობს ან არასწორ ინფორმაციას ფლობს პროგრამაზე შესასწავლი საგნების შესახებ. ინფორმაცია ან საერთოდ არ მოუძიებია, ან არარელევანტურ, ნაკლებად სანდო წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. არ იკვეთება ინტერესი შერჩეული პროფესიული პროგრამის მიმართ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანდიდატი ნაკლებად არის მზად აღნიშნულ პროგრამაზე სწავლისთვის.

კომისიის წევრი: _____

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აპლიკანტი:

	კომისიის წევრები:	შემოქმედებითი ტური									
		დავალება 1 . ესკიზის შექმნა მზა ფიგურაზე აპლიკაციის სახით					დავალება 2. დაკვირვების ტესტი	დავალება 3.წარმოსახვის/ სივრცითი ექსტრაპოლაციის საკვლევი ტესტი	მოტივაციური გასაუბრების ნაწილი		
		1.კრეატიულობა	2.ფერთა შეხამება	3.ესკიზის დასრულება	4. ქსოვილის, ფაქტურისა და გასაწყობი მასალის შერჩევა და აკურატულობა	5.დროის მართვა	დაკვირვების უნარი	სივრცითი ექსტრაპოლაციის უნარი	ინფორმაცია პროფესიის შესახებ	მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება	პროგრამაზე სწავლის მზაობა
1		3	3	2	4	3	3	3	4	4	4
2											
3											
4											
5											
6											
7											
8											
	საშუალო ქულა:	3,0	3,0	2,0	4,0	3,0	3,0	3,0	4,0	4,0	4,0
	შეწონილი ქულა:	9,0	6,0	2,0	4,0	3,0	3,0	3,0	4,0	4,0	4,0
	ჯამური ქულა:	42,0									
	პროცენტული წილი:	100,0%									

კანდიდატის სრული ქულა: **100,0**

შერჩევის კომისიის წევრთა ხელმოწერები: